საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია № 306 1918 წ. ხუთშაბათი, აგვისტოს 15. № 306

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.

**კერძო პირების გადმოცემით, [illegible] კუჩუკვი აულიათ. ჩეხ-სლოვაკები და ინგლისელები მოსკოვისაკენ ილაშქრებენ. სადგ. ბადიაურთან თათრებთან ბრძოლაა.**

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

**ღირს:** თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ქართული კლუბი

შაბათს, აგვისტოს 17-ს

ღარიბ სტუდენტთა ერთი ჯგუფის სასარგებლოდ, რომლებიც სწავლის გასაგრძელებლად საზღვარ-გარედ მიემგზავრებიან

გამართული იქნება

სალამო-სეირნობა

სცენაზე:

1. ვოდევილი პირველად ქართულს თეატრში

მოღალატე ქმარი

ერთ სურათად.

მონაწილეობას მიიღებენ ქმ. კავთელი, ჩარკვიანი, მ. ბარველი.

2. დივერტისმენტი.

მონაწილეობას მიიღებენ: გრიშაშვილი, ჰუმბაძე, ტაბიძე და ქუჩიშვილი.

ბ ა ლ ე ტ ი:

სხვა და სხვა გასართობები—პტი შვო, კონფეტები, ფოსტა, ამერიკული აუქციონი და სხვ.

საღამოზე დაუკრავს გერმანელების სამხედრო მუსიკა და ჩვენებური დუდუკი. იქნება ვახშამი. კლუბი განათებულ იქნება ღამის 3 საათამდე. ბილეთები ამ თავითვე იყიდება ქართული კლუბის კასაში და საჩაიე „ძმურ ნუგეშში“. სავახშმო მაგიდების დაჭერა შეიძლება იქვე.

დასაწყისი საღ. 7 ს. 860 საღამოს გამგე მომწყობი: სტუდენტთა კომისია

დიდი ცირკი



ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—60.

1918 წ. დღეს, ხუთშაბათს აგვისტოს 15-ს

გაიმართება

გრანდიოზული წარმოდგენა

რომელსაც ჰქვიან „ნონ-პლიუს-ულტრა“. მონაწილეობს მთელი დასი. დღეს გამოსვლა იაპონელთა იოცუხუნას დასისა, სლასტუშინსკისა, ვუდისა, მაისა და სხვ.

**ანონსი:** შაბათს, აგვისტოს 17-ს დიდი ბენეფისი იაპონელთა დასისა.

858 მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი

## ტფილისი, აგვისტოს 15

**რუსები და რუსეთი.** ჩვენს საზოგადოებაში რუსთა საკითხი ერთ სერიოზულ საკითხად არის დასახული. პრესაც დიდ ყურადღებას აქცევს იმ საკითხს და ჩვენც ამავე აზრისა ვართ: რუსობა დღეს კომპაქტურ ძალას წარმოადგენს საქართველოში, რომელთანაც ლოიალური განწყობილება ქართველ დემოკრატიის გულწრფელი სურს.

უნდა გამოვტყდეთ, დღემდე ჩვენსა და რუსებს შორის ვერ ჩამოვარდა სასურველი მეგობრული და ამხანაგური განწყობილება. თვით ქართველ ხალხს საუკუნის განმავლობაში რუსობისათვის დიდი დახმარება გაუწევია სახელმწიფოებრივ შემოქმედების სარბიელზე, რევოლიუციაშიაც არ ჩამორჩენია ჩრდილოეთის ამხანაგებს და თუ მაინცა ვერ მოვიგეთ რუსეთის დემოკრატიის გული აშკარაა ამის ბრალი ჩვენს გარეშე უნდა მოიძებნოს.

ქართველებსა და რუსებს შორის კეთილ განწყობილების კვანძები ამ ჟამად თვით რუსების ხელშია რუსებმა საბოლოოდ უნდა გამოარკვიონ თავიანთი ინტერესები ჩვენში, დამოკიდებულება დამოუკიდებელ საქართველოსთან და თუ ამ საქმეში ისინი არ გაჰყვებიან ოდესღაც არსებულ სახელმწიფოებრივ ჰეგემონიის გრძნობას, ფაქტებს ანგარიშს გაუწევენ და გარკვეულად, გადაჭრილად ხელს გაუწოდებენ ჩვენს დემოკრატიას—ეს იქნება უტყუარი ფერმენტი ჩვენი და რუსობის დემოკრატიის ნამდვილ მეგობრობისა.

ვფიქრობთ, ამ მეგობრობას დიდი რივი რუსობა თანდათან იწმინდება იმ ყავარჯენებიდან, რომლითაც ძველი რუსეთი არსებობდა. მსხვილი ბიუროკრატები მოგვშორდნენ და გვშორდებიან, ჩვენში რჩებიან უფრო დემოკრატიული ძალები რომლებსაც ფიზიკური და გონივრული ენერგია ასაზრდოებს და ამ ელემენტებში ყოველთვის მეტი გასავალი აქვს მეგობრობის და თანამშრომლობის აზრს. რუსობის ყალბი ელემენტებისაგან ფილტრაცია—აი ობიექტიური პირობა ქართველთა და რუსთა შორის კეთილგანწყობილებისა. ამ ნიადაგზე უნდა აღმოცენდეს შესაფერისი შემეცნებანი. საბედნიეროდ საამისო ნიშნებიც არსებობს, რუსთა ეროვნულ საბჭომ მიიღო საელჩოს უფლებები, რაიცა მოასწავებს რუსეთის მიერ ფაქტიურად აღიარებას, ცნობას საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა. ეს აქტი მრავალ მნიშვნელოვანია და ავალებს რუსობას საქართველოში მოიქცნენ როგორც უნდა მოიქცნენ სხვა სახელმწიფოში სტუმრები. გარდა ამისა რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ პასუხი გასცა საქართველოს სოც.-დემოკრატიას დამოუკიდებლობის შესახებ, სადაც რუსის მენშევიკები ჩვენი მენშევიკების ეროვნულ ნაბიჯს სავსებით ამართლებენ და რუსთა დემოკრატიისათვის ამზადებენ შემეცნებას, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ დამოუკიდებლობის აქტით შეასრულა აუცილებელი და რევოლიუციონური მოვალეობა და ამიტომ ეს აქტი უნდა იყოს სასურველი, ბუნებრივი და მოსაწონი რუსობისათვის საერთოდ და რუს. სოციალ-დემოკრატებისა-

რუსების ეს წერილი ფრიად საგულისხმიეროა ჩვენთვის და რუსებისათვის. ეს არ არის ენა და არგუმენტაცია არც გაზეთ „სოციალ დემოკრატის“, არც „ზნამია ტრუდა“-ს, არც „ნაროდნაია სვობოდა“-სი. რუსეთიდან რუსის სოციალისტები უფრო ადვილად არჩევენ საქმის მდგომარეობას. იქ წვრილმანები და გრძნობათა ღელვა არ აზრობს გონებას და ამიტომ მათი სალი მოსაზრებით ადვილად ახერხებენ ჩვენი მდგომარეობის გაშუქებას—რასაკვირველია ჩვენდა სასარგებლოდ.

გვინდა დავიჯეროთ, რომ რუსეთის სოც.-დემოკრატიის წერილ-პასუხი ჩვენი სოც.ალ-დემოკრატებისადმი გამოაფხიზლებს ადგილობრივ რუსებს და ჩვენს შორის დამკვიდრდება ნამდვილი მეგობრული განწყობილება, რომელიც საჭიროა, როგორც საქართველოს რესპუბლიკისათვის, ისე ორივე ერისათვის.

## ჩვენ და სომხები

ამას წინად ადგილობრივ გაზეთებში ამოვიკითხეთ ცნობა: სომხის ახალგაზრდობამ დააარსა საზოგადოება, რომელსაც მიზნად ექნება კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის, ძმობა-ერთობის განმტკიცება. დღევანდელი სულის შემხუთველ ატმოსფერის გაფანტვაო.

ვინცა მოყვარეს არ ეძებს—იგი თავისა მტერიაო, ნათქვამია. ამ აზრის მოგონება გვმართებს განსაკუთრებით დღეს, როცა მართლადაც ერთა ურთიერთობა აირია. გუშინდელი მეგობრები ერთმანეთს აღარ იცნობენ, ხოლო მოსისხლე მტრები შეერთებულან, რათა საერთო ძალით თავისი მესამე მეზობელი დასცენ და დაპყრობონ. ამისთანა პირობებში ზემოხსენებულ საზოგადოების დაარსება მართლადაც საამო და გასახარელია. მაგრამ, ვფიქრობთ, თუ ნამდვილად არ გამოირკვა პოლიტიკური ზრახვები კავკასიის ამა თუ იმ ერისა, თუ არ მოხდა გამიჯვნა, გულწრფელი განსაზღვრა მათის ინტერესებისა—სენტიმენტალობა ვერას გვიშველის და კაცთ მოყვარეობის საზოგადოებათა დაარსება გამწვავებულ ურთიერთობას ვერაფერს მალამოს დასდებს.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ სწორად გაგებული ინტერესები სომხის ხალხისა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს ზრდა-აყვავებას და მისი სახელმწიფოებრიობის გამაგრებას. ყოველთვის ვქადაგებდით ურთიერთ შორის შეთანხმებით ერთნაირ მიდუს ვივენდის დამყარებას და ამ გზით კეთილ მეზობლობის დამყარებას, სამწუხაროდ, სომხის ხალხის მეთაურებს აქამდე ეს ვერ შეუგნიათ. ისინი მებრძოლ ნაციონალიზმის გზას ადგნენ ნიკოლოოზის დროს და ვორონცოვ-დაშკოვის სასახლეებში უკანა კარებიდან რბენით ჰსურდათ ქვეყნის აშენება. ისინი საოცარის შეუგნებლობით ჰქმნიდნენ სომეხთა იზოლიაციას კავკასიაში. მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ ისინი ხელს უშლიდნენ სხვა ერების პოლიტიკურ მისწრაფებათა განხორციელებას და ეროვნულად წელში გასწორებას. სამწუხაროდ, ამავე იზოლიაციის გზას ადგნენ რევოლიუციის დროს და ასეთსავე გზით მიდიან დღესაც.

კავკასიის ერთა შორის ერთობას შექმნის პოლიტიკური საკითხების სამართლიანად გადაწყვეტა და არა სენტიმენტალური საზოგადოებანი. დღეს უკვე ლაპარაკობენ განსაკუთრებით სომხის წრეებში, ამიერკავკასიის მთლიანობის აღდგენის თაობაზე. ხოლო იმდენს არავის ცნებს ამ აზრს და იდეას, რამდენადაც, თვით სომხები. დღევანდელ პირობებში ჩვენ ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია ძველი ბუხულას დაბრუნება ამიერკავკასიის სახით. ვიდრე ეროვნულად ნათლად არ ჩამოვყალიბებულვართ, ვიდრე საბოლოოდ არ გამორკვეულა, რომ მომავალი კავშირს ბოროტად არავინ გამოიყენებს—ყოვლად შეუძლებელია გაერთიანების ლაპარაკი. ხოლო თუ მომავალში კი

გაერთიანება მოხდა, უეჭველია მას საფუძვლად უნდა დაედვას სწორად გაგებული ინტერესები კავკასიის სამთავე ერისა და ნამდვილი შეგნება, რომ მათი ინტერესები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. მე მინდა ზოგიერთი მოსაზრება გამოვსთქვა იმის თაობაზე, თუ რა არის საჭირო მოდუს ვივენდის დასამყარებლად.

უპირველესად ყოვლისა სომხის პოლიტიკოსებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადასწყვიტონ საკითხი: ურიგდებიან თუ არა საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლებას და თუ ურიგდებიან, სცნობენ თუ არა მის ტერიტორიის მთლიანობას. მათ ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა აიღონ ტფილისზე ოცნებას და გულახდილად აღიარონ მისი ჩვენობა, ე. ი. ხელი აიღონ აგრესიობას და თავი ანებონ ღიმ მომგვრელ მტკიცებას, წერით თუ ლაპარაკით: ტფილისი სომხურია, კახეთი სომეხთა ჩამომავლობით არის დასახლებულ-გაშენებულიო და სხვ. ეროვნულ უმცირესობას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არავითარი საფრთხე მოელის. ხოლო ამ უმცირესობას თავის დღეში არ უნდა ჰქონდეს გულში ხინჯად სახელმწიფოებრიობის არსებობა თვით იმ ტერიტორიის სუვერენ ერისა, სადაცა სცხოვრობს: მაშასადამე უეჭველად საჭიროა სომხებმა თავი ანებონ ალვირახსნილ აგიტაციას საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ და იყვნენ ერთგულნი მოქალაქენი ამ თავისუფალ სახელმწიფოისა. დღეს რომ ასე არაა და თითქმის ყოველი სომეხი რომ ჩვენი რესპუბლიკის მტრად გადაქცეულა—აშკარაა. ამას თვით სომხის პოლიტიკოსებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ.

ხსენებულ საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საგარეო პოლიტიკის საქმე. ჩვენს გაზეთში უკვე იყო აღნიშნული, რომ ყოვლად შეუძლებელია ამიერკავკასიის გაერთიანებაზე ლაპარაკის ჩამოგდება—თუ ორიენტაცია აქაურ ერებისა არსებითად სხვა და სხვაა. წინანდელი „მთლიანობა“ ამიერკავკასიისა ხომ სწორედ ამ ორიენტაციათა სხვა და სხვაობამ დაჰღუპა. ამ ჟამად რუსეთის ორიენტაციაზე ლაპარაკი ერთა ურთიერთობას მხოლოდ გაამწვავებს და პრაქტიკული მნიშვნელობა კი არა აქვს რა. აქაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეურიგდნენ ჩვენი მეზობლები მომხდარ ფაქტს: რუსეთზე ტირილი დღეს შეიძლება გულჩვილობის მაჩვენებელი იყოს, მაგრამ ყოვლად უმწეო პოლიტიკოსობის ნაყოფი კი არის. „რუსეთს ჩვენ ჩამოვშორდით სამუდამოდ. ამ ბოლო დროს სომხის პოლიტიკოსთა ზოგიერთ წრეებში („მშაკი“) თითქოს გამოფხიზლების ნიშანი სჩანს „დაკარგულ სატრფოს“ საკითხში და სცდილობენ ევროპასთან პირდაპირი ურთიერთობის ორიენტაციასთან შერიგებას, ეს საიმედო ნიშნებია.

მესამე, შედარებით წვრილმანი საკითხია—ლტოლვილების მდგომარეობა ამ საქმეს განსაკუთრებული ფერი და ხასიათი ეძლევა, რადგან ჩვენ სრულიად არა გვსურს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ულსტერი გავიჩინოთ—ციხის შიგნიდან გატეხას რომ შეეცდება და ჩვენს საპოლიტიკო თავისუფლებას ვერ შეურიგდება ამას გარდა, ცნობილია ჩვენში მიწის სივიწროვე და შეუძლებელია იმ ნახევარ მილიონ ლტოლვილის სამუდამოდ აქ დატოვება რომელთაც ჩვენი სოფლები გაუვსიათ და სპეკულიაცია-პროვოკაციის მეტს არას აკეთებენ. ესეც იქონიონ მხედველობაში სომხის პოლიტიკოსებმა.

ძმობა ერთობაზე ყვირილი კარგია, მაგრამ არა მარტო ყვირილი, არამედ საქმეც არის საჭირო და როცა ამას შეიგნებენ სომხის ერის ხელმძღვანელები, როცა ისინი შეურიგდებიან საქართველოს თავისუფალ არსებობას და მოაგვარებენ ზოგიერთ წვრილმან საკითხებს—მხოლოდ და მხოლოდ მაშინ დამყარდება ის სოლიდარობა ერთა შორის, ასე სანატრელი რომ გამხდარა სომხის ახალგაზრდობის ერთი ჯგუფისათვის.

ხოლო სანამ ასე არ იქნება, ნუ დაგვემდურებიან ჩვენი მეზობლები თუ არ დაგვავიწყდება ბრძნული თქმა: მოყვარე მტერი—ყოვლისა მტრისაგან უარესია.

ქ. რაჭველიშვილი.

## მიწის საკითხის გამო

საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში მიწის საკითხი საჭირბოროტო საკითხად ხდება. ეს საკითხი, როგორც მოსალოდნელი იყო, რევოლიუციის ქვაკუთხედად გადაიქცა. ყველა, ვინც დაინტერესებულია რევოლიუციის განმტკიცებით და მის მონაპოვართა შენარჩუნებით, მიწის რეფორმას უცქერის, და ამ საკითხის გადაწყვეტას რევოლიუციის ბედს უკავშირებს. უნდა ვთქვათ, რომ მშრომელი გლეხ-კაცობის რევოლიუციონური წარმოდგენა და მოქმედება მიწის საკითხით განისაზღვრება. მისთვის თავისუფლება—ეს მიწების ხელში ჩაგდებაა და სხვა არაფერი, თავისუფლება სიტყვისა, კრებებისა და სხვა ამგვარი გლეხკაცისთვის თითქმის არაფერია. გამოცდილებამ და პირდაპირ ხალხში მუშაობამ საკმაოდ დამარწმუნა, რომ მშრომელი გლეხკაცობა ყველაფერს სარგებლიანობის თვალით უცქერის. რაც მას მატერიალურ სარგებლობას მოუტანს საჭიროა, რაც არა არც აინტერესებს.

ვიცნობ რა მშრომელი მასის ასეთ პრიმიტიულ ფსიქოლოგიას, უნდა ვთქვა რომ სარგებლიანობის წარმოდგენა გლეხ-კაცს მხოლოდ მიწასთან აქვს შეკავშირებული. მის წარმოდგენაში ერთად ერთი განძი, რომელიც კი შესძლებს მისი სურვილების დაკმაყოფილებას, ეს მიწაა. რევოლიუციის განმტკიცება და თავისუფლების დამყარება სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ მიწებს ძველი პატრონები ჩამოშორდნენ და ახალ პატრონად თვითონ გადიქცნენ. ამ მოსაზრებით ჩვენში მომქმედი პოლიტიკური პარტიები თუ პოლიტიკურ ცხოვრების ხელმძღვანელნი, ჯეროვან ყურადღებას თუ არ მიაქცევენ აგრარულ საკითხს და მის სამართლიანად გადაწყვეტას, თამამად შეიძლება ითქვას, მშრომელი გლეხ-კაცობა არამც თუ ჩამოშორდება რევოლიუციონურ მოძრაობას, არსებულ წყობილების საშინელ მოწინააღმდეგედაც კი გამოვა. დღემდის თუ სოფლებში აგრარულ ნიადაგზე მოძრაობა მაინცა და მაინც არ არის, იმიტომ რომ მიწები ფაქტიურად მიწის მომუშავეთა ხელშია, ხოლო როცა მიწისმფლობელობა ამა თუ იმ სახეს მიიღებს და მიწის სარგებლიანობის საკითხი კანონიერ სახის მიღებას მოითხოვს, მშრომელი მასა თავის სიტყვას იტყვის, თუ მიწისმფლობელობის საკითხმა მისთვის არა სასურველი გადაწყვეტილება მიიღო. პოლიტიკურ პარტიებისთვის მიწის საკითხი უკვე მორიგ საკითხად გადაიქცა.

უკვე პრაქტიკული ნაბიჯი იდგმება იმ მიმართულებით, რომ მიწის სარგებლიანობას მიეცეს ესა თუ ის ფორმა და ცხოვრებაშიაც დაუყონებლივ გატარდესო.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში თითქმის გადაწყვეტილად ჩაითვლება აზრი რომ გლეხობას მიწა კერძო საკუთრებად მიეცეს ამ გადაწყვეტილებას დასდგომია მიწათმოქმედების სამინისტროსთან ამ საკითხის გამოსარკვევად საგანგებოდ მოწვეული თათბირი აგრარულ რეფორმის გატარების მომუშავეთა. ასევე ტენდენცია ეტყობა მთავრობის მოქმედებასაც ამ საკითხში. ნაციონალ-დემოკრატების რწმენაც მიწის საკითხში ხომ ასეთივეა. ამ შემთხვევაში ხსენებულნი სოციალისტური და არა სოციალისტური პარტიები სოლიდარულნი არიან.

ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე თვითონ თავისთავად ცნობილია, ჩვენ ვეთანხმებით და კიდევაც ვამბობთ, რომ დღეს სხვა და სხვა მოსაზრების გამო მიწის განს-

ზოგადოებრივობის სრული მისი სახით ცხოვრებაში გატარება შეუძლებელია. მაგრამ მიწების კერძო საკუთრებად გადაცემა თუ დაყიდვა და ამით ბურჟუაზიული მფლობელობის განმტკიცება შეუძლებელია ყველა სოციალისტურ მოაზროვნეთათვის.

ერთად ერთი შემათანხმებელი იქნება ის, რომ მომავალ სამაზრო და საგუბერნიო საერობო ერთეულებს დაუყონებლივ მიემატოს მესამე საფეხურიც— წვრილი საერობო ერთეული, ამავე დროს ჩვენში მრავლად არსებობენ სხვა და სხვი კოლექტივები: კოოპერატივები ამხანაგობები, სხვა და სხვა სახის საზოგადოებანი და სხვა ამგვარი მიწის სარგებლიანობის გადაწყვეტის დროს ესენი უნდა იყვნენ მიღებული მხედველობაში და მამულების ფონდი, რომელიც შექმნა სახელმწიფომ, სწორედ ამ კოლექტივებ-თა შორის განაწილდეს. ჩამორთმეული მიწები უნდა დანაწილდეს არა ცალ-ცალკე ოჯახებსა, ან მოიჯამავე მკლავთა შორის, არამედ მამულების პატრონებად წვრილი საერობო ერთეულები, კოოპერატივები, ამხანაგობები და სხვა ამგვარი კოლექტივები უნდა გახდნენ. მართალია ეს არ არის მიწის საკითხის საფუძვლად გადაწყვეტა, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ეს ფორმა შემდეგში მოგვცემს უფრო სასურველად უმტკივნეულოდ გავატაროთ ცხოვრებაში აგრარული საკითხი.

ჩვენ პარტიულ პრესაში ამ საკითხის გარშემო ვკითხულობთ რომ „მიწის საკითხის გადაწყვეტის დროს უეჭველად ეროვნულ პოლიტიკური მომენტი უნდა მივიღოთ მხედველობაში, მიწის მფლობელობის სხვა და სხვა ფორმად შერიგება შევთახხმდეთო". ჩვენის მხრით საჭიროა მიწის საკითხს მიუდგეთ უმთავრესად არა ეროვნულ-პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ სოციალისტურ და ეკონომიურ შეხედულებით.

პარტიათა შორის შეთანხმება ბევრჯერ საჭიროცაა და სასარგებლო, მაგრამ პრინციპიალური საკითხების გადაწყვეტის დროს ყველამ თავისი სიტყვა ყველას გასაგონად უნდა სთქვას და მის განხორციელებლად საშუალება არ მოზოგოს.

თ. ბებიაშვილი

# მთავრობაში

განათლების სამინისტრომ ნება დართო გზათა ინჟინრებს ა. ბ. ადრიანოვსა და გ. ვ. შირამზანოვს ტფილისში უმაღლეს საინჟინერო კურსების გახსნისა.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ დაავალა გერმანიის საიმპერატორო მიწის სამეურნეო ნაწილის წევრს, გეოლოგს დოქტორ პფაფფს, სამთო, სამხრეთველოს ინჟინერ ციციშვილთან ერთად გამოიკვლიოს საქართველოს რესპუბლიკის სხვა და სხვა ადგილებში, ნავთიანი ადგილები და მრეწველობის თაყვიბის შესაძლებლობა.

—

ტფილისის სასამართლოს პალატის შტატ გარეშე დარჩენილ მოხელეთა დასაკმაყოფილებლად იუსტიციის მინისტრს გაეხსნა საჭირო თანხა.

—

ტფილისის ფიზიკურ ობსერვატორიისათვის მიეცა განათლების მინისტრს 27,400 მანეთის სესხი.

—

დადასტურებულ იქმნა გზათა მინისტრის აზრი, რომ ქალაქის კავშირისათვის საავტომობილო საქმის გადაცემა თანამედროვე პირობებში არ შეიძლება და მიზანშეწონილიც არ იქნება.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით ფოსტა-ტელეგრაფის შტატ-გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად გადაიდო 500,000 მანეთი.

—

ბათომის და ყარსის დაწესებულებანი ლიარებულ იქმნა ივლისის -დან გაუქმებულად.

—

სამოსამართლო პალატის შტატ გარეშე დარჩენილ მოხელეთა ჯამაგირების გადიდების პროექტი გადაეცა სახელმწიფო კანტროლიორს თავისი აზრის დასასკვნელად.

—

სახალხო განათლების მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა საშუალო სატეხნიკო სასწავლებლისათვის გადაიდოს 61,804 მ. 93 კაპეიკი სასწავლებლის ივნისის 1-დან—1919 შესანახად.

—

იუსტიციის მინისტრის მოხსენებით ტფ. ნოტარიუსის უფროსის თანაშემწე ...

მარილის მონოპოლიის შემოღების შესახებ დადგენილ იქმნა: მიენდოს სასურსათო სამინისტროს, სოფლად მარილის პურზე გაცვლის მოწყობა; ხოლო მარილის მონოპოლიის შემოღების შესახებ საკითხის გადაშინჯვა მიენდო ფინანსთა სამინისტროს

# უკანასკნელი ცნობები

## ბრძოლა კავკავში

კერძო პირებმა გადმოგვცეს რომ კავკავში ბოლშევიკებსა და ყაზახებს შორის დიდი ბრძოლა სწარმოებსო. ამბობენ კავკავი ყაზახებმა დაიკავესო.

უკანასკნელ ცნობების თანახმად ჩეხსლოვაკები და ინგლისელები მოსკოვისაკენ მოიწევენ.

სამხედრო მინისტრს, ასლი სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს და საქართველოს რესპუბლიკის არმიის უფროსს. თანახმად თქვენის ბრძანებისა მოვედით სადგ ბადიაურზე, აქ 700-მდე შეიარაღებული ქართველი დაგვხვდა. გამოირკვა რომ თათრებმა გადმოლახეს ქართველთა სამფლობელო მდინ. იორის აქეთა მხარე; სამხედრო წესით დაიკავეს ყველა წისქვილები და გაირეკეს საქონელი. მე გავგზავნე სამხედრო ნაწილები ბრბოთა გასაწმენდად. ხალხი დაჟინებით მოითხოვს იორ-მუღალნოს თათართა იარაღის აყრას თქვენს ნებადაურთველად, მე ვერ გადამიწყვეტნია შეტევაზე გადასვლა მათ იარაღის ასაყრელად. ველი თქვენს განკარგულებას. დახარჩენს დაჭრილებით გაცნობებთ.

ჯავშნოსან მატარებლის უფროსი პოდპოლკოვნიკი გოგვაძე.

—

სამხედრო მინისტრმა ბადიაურიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: თქვენ მიერ გამოგზავნილ რაზმს, რომელსაც დავალებული ჰქონდა მდ. იორის მარცხენა ნაპირის გაწმენდა თათართა ბანდებისაგან, თათრები თოფის ცეცხლით შეხვდნენ, საღამოს 6 საათსა და 30 წუთზე საშველად მოვიდა ჯავშნოსანი მატარებელი, რომელმაც ცხრაჯერ ესროლა ზარბაზანი. ამის შემდეგ მოწინაამდეგენი გაიფანტნენ და იორის იქითა ნაპირზედ გადავდევნეთ. ჩვენის მხრივ დაჭრილნი არიან ერთი მძიმედ და ერთიც მსუბუქად. ადგილობრივი ქართველები დაჟინებით მოითხოვენ თათართა იარაღის აყრას და მზად არიან ამ მიზნით შეუტიონ მათ, მე იგინი ვერ შემიკავებია. თუ ნებას მოგვცემთ შეტევის დაწყებისას თათრების იარაღის ასაყრელად გამოგვიგზავნეთ 100 გვარდიელი ან ქვეითა ჯარის კაცი და ხელმძღვანელები.

ჯავშნოსან მატარებლის უფროსი პოდპოლკოვნიკი გოგვაძე.

# სოციალისტი საბჭო

### აგვისტოს 13 სხდომა.

კრება იხსნება საათის $12^1/_2$. თავმჯდომარეობს ნ. ს. ჩხეიძე.

დღის წესრიგში აღნიშნულია წინა სხდომაზე მიღებული კანონპროექტთა საბოლოო ტექსტის დადასტურება, სამხედრო კანონპროექტთა განხილვა და ჩიქოვანის შეკითხვის გამო აღძრული მსჯელობის გაგრძელება და ეროვნულ-დემოკრატების შეკითხვა სახელმწიფო ქონების ექსპლოატაციისა და საქართველოს რკინის გზის მოსამსახურეთა დათხოვნის თაობაზე.

**ფარჯაშვილი** (ს. რ.) რეგულიარი ჯარის შექმნის საკითხი ფრიად რთულია. დღესაც გარკვეული აზრი არ არსებობს: სამხედრო ძალის რომელს ფორმას მიეცეს უპირატესობა—სახალხო გვარდიას თუ რეგულიარს ჯარს. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, ს.-რ. ფრაქციის სამხედრო კომისიაში წარმომადგენელი არა ჰყოლია და მონაწილეობა არ მიუღია კანონ პროექტის წინასწარ განხილვაში. ჩვენი ფრაქცია ითხოვს კანონპროექტის განხილვა ერთის კვირით გადაიდოს, რათა ყველა ფრაქციას ღონისძიება ჰქონდეს სათანადო აზრის გამოსათქმელად.

**თავმჯდომარე** განმარტავს: კანონპროექტის განხილვის ვადა ისედაც გაჭიანურდა, გარდა ამისა დანარჩენი ფრაქციები და პრეზიდიუმი უკვე გაეცნენ კანონ-პროექტს გადადება შემდეგისათვის შეუძლებელია განხილული დღესვე უნდა იყვეს.

**გაბაშვილი** (ნ.-დ.) წინააღმდეგია გადადებისა; მხოლოდ თხოულობს შემდეგ ჩვენი შეკითხვა მოისმინეთო.

**ს. დადიანი** (ს.-ფ.). ჩვენი ჯარის დღევანდელს მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელია. გარკვეული გეგმის გარეშე ძლიერი ჯარის შექმნა და მტკიცე ... ფრაქციის სახელით მოვითხოვ სამხედრო კანონ პროექტის დაუყონებლივ განხილვას დღევანდელსავე სხდომაზე

**სამხედრო მინისტრი.** ჯარის რეორგანიზაციის გადადება სულ მცირე ხნითაც საქმეს ზიანს მოუტან. საზოგადოებამაც და ჯარმაც უკვე იცის რეორგანიზაციის განზრახვის ამბავი და ამიტომ მისი დახანება ჰქმნის ერთგვარი გაურკვევლობის ატმოსფერას აუცილებელია კანონ-პროექტის დღესვე განხილვა.

თავმჯდომარე საკითხს კენჭს უყრის; საბჭო ხმის დიდი უმრავლესობით ადასტურებს კანონ-პროექტის დაუყონებლივ განხილვას.

სარედაქციო კომისიის წევრი ჩიგოგიძე კითხულობს წინა სხდომაზე მიღებულ კანონ პროექტების საბოლოო ტექსტს. საბჭო ადასტურებს.

**თავმჯდომარე.** განსახილველია სამხედრო კანონპროექტი. სამხედრო კომისიის აზრით კანონ პროექტი განხილული უნდა იყვეს დახურულს სხდომაზე. საბჭოს პრეზიდიუმიც იზიარებს ამ აზრს. ხომ არავინ არის წინააღმდეგი? წინაღმდეგი არავინა ჩანს. ვსთხოვთ საზოგადოებას დარბაზი დასტოვოს.

სამხედრო კანონპროექტის განხილვის შემდეგ საზოგადოებას ხელ-ახლად უშვებენ დარბაზში.

დღის წესრიგის მიხედვით დ. ჩიქოვანის მიერ შეტანილი შეკითხვის გამო აღძრული მსჯელობის გაგრძელება. სხდომის დახურვამდე ლაპარაკს ასწრობს მხოლოდ მ. მაჩაბელი

**მაჩაბელი** (ნ. დ.) დ. ჩიქოვანის შეკითხვა არ მოეწონა მთავრობას. პირიქით: საყვედურიც მიიღო. თუ იცოდი აქდენი ბოროტების ამბავი, რატომ მთავრობას არ შეატყობინეო. დალოცვილებს, განა ჩიქოვანი მოვალე იყო შეეტყობინებინა? თითონ მთავრობამ ყველაფერი უნდა უნდა იცოდეს, რაცა ხდება. მე პირადად ძალიან დიდს პატივსა ვცემ შინაგან საქმეთა მინისტრს, მაგრამ ნუ გამიწყრება, უნდა მოვახსენო, მთავრობამ ისიც არ იცის კარგად, აქ რახდება, ტფილისში, და როგორ უცოდინება რიგიანად, საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში რა ხდება. ვათავებ ჩემს სიტყვას და ვამბობ: დ. ჩიქოვანის შეკითხვა სამართლიანად მიმაჩნია. მთავრობამ მართებს დიდი ყურადღება მიაქციოს იმ ბოროტმოქმედებას და კანონის დარღვევას, რომელსაც მიუთითებს შემკითხველი.

რეგლამენტის ძალით სხდომა შესწყდა საათის 3-ზე. შემდეგი სხდომა დანიშნულია აგვისტოს 17-ს.

ვ. ე.

# ომის დეპეშები

**ბერლინი.** აგვისტოს 13. კრონპრინც რუპრეხტის არმია. იპრის დასავლეთსამხრეთით დილა-ადრიან დიდი საარტილერიო სროლა იყო. მოპირდაპირის იერიშები სათავეშივე ჩავკალით. სკარპსა და ანკერს შორის, ლაბასის არხის ორთავე მხარეს მოწინავე რაზმების შეტაკებაა. დილას აქ სიმშვიდე იყო. ანკრსა და ავრს შორის, სომას სამხრეთით მოპირდაპირემ იერიში მოიტანა ლუკოკურტის შოსეს ორთავე მხარეს. იერიში მოვიგერიეთ, ამიენ-რუას შოსეს ჩრდილოეთითაც ჩვენ მოვიგერიეთ იერიშები. ავრსა და უაზს შორის მთელი დღის განმავლობაში ფრანგებმა ახალი დივიზიებით დიდი ბრძოლა გაგვიმართეს ტილოლუასთან და ავრის სამხრეთით დიდი იერიშები იყო, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ბევრ ადგილას ჩვენ მოპირდაპირე უკუვაქციეთ.

გერმანიის კრონპრინცის არმია. აქ ზოგიერთ ადგილას ჩვენ გავიმარჯვეთ და ტყვეები წამოვიყვანეთ.

გუშინ მტრის 29 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

**ვენა.** 8—13. მონტე-კორონასთან, ტიროლის ფრონტზე, ჩვენ მოპირდაპირის პოზიციებს დავესხით და ძლიერ დავაზარალეთ. მტრის ჰაეროპლანებმა ფელტრეს ტერიტორიაზე ბევრი მოქალაქე იმსხვერპლა.

**სტამბოლი.** 8—13. პალესტინის ფრონტი. მტრის მოწინავე რაზმები მრავალ ადგილას უკუვაქციეთ. იორდანეს აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლაა. სხვაგან სიწყნარეა.

**პარიზი.** 8—13. ფრანგების ჯარმა მატცის და უაზის ტყიან ადგილებში იერიშები დაიწყო. გერმანელების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად ჩვენ პლესსდე-რუას პარკთან ჩვენ მივაღწიეთ ბელვიუს. ამას გარდა, ფრანგებმა ჩვენ წინ წავიწიეთ სოფ. კებრონნამდე ორი კილომეტრით. სხვაგან საყურადღებო არა მომხდარა რა.

**ბერნი.** 8—13. სტატს-სეკრეტარი გარეშე საქმეთა სამინისტროსი გინტცე ...

**დღესასწაულისა გამო შემდეგი მორიგი ნომერი გამოვა აგვისტოს 17-ს.**

# ახალი ამბავი

◆ **სოციალისტ-ფედერალისტთა** საპარლამენტო ფრაქცია სთხოვს ამხ. ლევან მეტრეველს უეჭველად შემოიაროს დღეს 12 საათზე ფრაქციის ბინაზე, სასახლეში.

◆ **სახაზინო** რკინის გზების სამტრედიის, ფოთის, ნატანების და ზესთაფონის ნაწილებში მოძრაობა უკვე ქვანახშირით სწარმოებს. აგვისტო 15 დან ყველა სახაზინო და კახეთის რკინის გზებზე ქვანახშირით იქნება მოძრაობა.

◆ **სათბი მასალის** თათბირის გამოანგარიშებით კახეთის რკინის გზას თვეში დასჭირდება 20,000 ფუთი ქვანახშირი. სახაზინო გზებს კი—1 მილიონი ფუთი თათბირმა დაადგინა: რადგანაც კახეთის რკინის გზაზე მოძრაობის შემცირება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მისი საჭიროება სავსებით იქნეს დაკმაყოფილებული, სახაზინო გზებს კი შეძლებისდაგვარად დაეთმოს ქვანახშირი, ქვანახშირი ჯერ მიეცემა რკინის გზებს, შემდეგ ქალაქის თვითმართველობებს და შემდეგ მცხოვრებლებს.

◆ **ტფილ. ტრამვაი.** მთავრობას საქართველოს სხვა და სხვა ნაწილებში მოეპოება ხელუხლებელი ნავთი 40000 ფუთი ტფილისის, ფოთის და სამტრედიის საქალაქო წყალსადენებისთვის. ამ დღეებში ამ წყაროდან ნავთის მიცემა შეუწყდება ტფილისის ტრამვაის, ამის გამო შესაძლებელია ტრამვაი შეჩერდეს თუ ელექტრონის სადგურის ქვანახშირით ამოძრავება დროზედ ვერ მოეწყო.

◆ **მილიციის უფროსმა** ბრძანება გამოსცა: ხოლერის ეპიდემიის გავრცელების ასაშორებლად აკრძალულ იქნეს ქუჩაში წყლის, ხორცის და სხვა საჭმელის გაყიდვა, აგრეთვე ძველი ტანისამოსის გაყიდვა თუ სადეზინფექციო კამერის პლომბა არ ექნება.

◆ **ტფ. ტრამვაის** ლიანდაგი ყველა ადგილზე არ ინახება სუფთად, საჭიროა ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მილიციის უფროსი ავალებს სახლის პატრონებს, მეეზოვეებს თავის დროზე გზები გააწმენდინონ.

◆ **მილიციის უფროსმა გაიგო,** რომ ზოგი მილიციელი ვითომდა მილიციის საჭიროებისათვის იჭერს ეტლებს. ამას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა და დამნაშავენი დაისჯებიან. ამასთანავე მილიციის უფროსი ავალებს მეეტლეებს, რომ მილიციის განკარგულებით მათ უნდა ეტლით წაიყვანონ ქუჩაში ავადგამხდარი, დაჭრილი და მილიციელები რომელნიც დამნაშავეს მისდევენ.

◆ **სათბობი მას. ლის თათბირმა** შესაძლებლად სცნო, თანახმად გზათა მიმოსვლის მინისტრის შუამდგომლობისა, აღდგენილ იქნეს მცხეთის მატარებლის მოძრაობა იმ პირობით, რომ ამ მატარებლის ორთქლმავლები ქვანახშირით ხურდებოდეს.

◆ **მრეწველთა ყრილობა.** ქუთაისში აგვისტოს 19-ს შესდგება ჭიათურის ქვანახშირის მრეწველთა სწრაფი ყრილობა საბჭოს და კანტორის ჭიათურაში გადატანის შესახებ.

◆ **ტრამვაის ბილეთის ფასის მომატება.** ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა ტრამვაის მოსამსახურეთა ჯამაგირების კვლავ მომატების გამო ხარჯების დასაფარავად, ტრამვაის ბილეთებს მოუმატოს ფასი 50% და დააწესოს განსაკუთრებული გადასახადი სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებზე.

◆ **ბოროტმოქმედება.** დილით, აგვისტოს 14-ს ახალციხის ქუჩაზე ერთი ოფიცრის ბინა გაჩხრიკეს ბოროტმოქმედებმა სისხლის სამართლის მილიციის სახელით და წაიღეს 40,100 მან. ოქროულობა და სხვა ნივთები.

◆ **გვამი.** აგვისტოს 13-ს მტკვარში იპოვეს 15 16 წლის უცნობი ვაჟის გვამი.

◆ **ნავთის დამუშავება.** გამოირკვა, რომ საქართველოს მიწა-წყალზე ნავთიან ადგილების დამუშავება მთავრობას მისცემს დღეში 1,000 ფუთ ნავთს. ზოგ რაიონში და განსაკუთრებით თელავში უკვე დაიწყეს ნავთის დამუშავება.

დამუშავებულ ნავთით პირველ რიგში დააკმაყოფილებენ რკინის გზებს, შემდეგ ტფილისის ქალაქის გამგეობას.

◆ **დანიშვნა.** ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორად დაინიშნა ს. დ. ჭანტურიშვილი.

◆ **გიორგი ჰუბაბრიას უკვალოდ დაკარგვის გამო.** გარეშე საქმეთა სამინისტროს ესად-ფაშამ შეატყობინა რომ ... ბრძოლაში უკვალოდ დაკარგულ სასწავლებლის გიორგი ჰუბაბრიას მი... ძებნა, რომ... ესად-ფაშამ ... ბული მის საპოვნელად და სამშობლოში უვნებლად დასაბრუნებლად.

◆ **მხატვარ რეპინის გარდაცვალება.** ფინლანდიაში გარდაცვლილა ნიჭიერი რუსი მხატვარი ი. რეპინი.

◆ **სტუდენტების, კურსისტკების და აბიტურ. კომისია** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 1) ჩაწერა რუსეთში წამსვლელებისა პარასკევს, აგვისტოს 16 შეწყდება. 2) ყველა ჩაწერილებმა და მსურველებმა უნდა მოიტანონ დოკუმენტები პარსკ., 16 აგვისტომდე 3) ლ... ამხ სთხოვენ მივიდნენ კომისიის მ... გე წევრთან დამკითხავ ქალალდის ... სალებად. 4) ჩაწერილ ქარ. ამხან. ს... ვენ ინახულონ კომ. მორ. წევრ... 16 აგვი—დე. 5) გაგზავრება განზრახულია სამშაბათს, 20 აგვისტოს.

◆ **ცეცხლი** აგვისტოს 13-ს ღამის 2 საათზე სომხის ბეზრის და ოქრომჭედელთა ქუჩის კუთხეში (მე-5 კომისარიატი) გაჩნდა ცეცხლი მანუჩაროვის ჩომაიას მაღაზიაში (ოქრომჭედლები). მიზეზი გამოურკვეველია. დაიწვა ორი მაღაზია, ზარალი 60,000 მან. მაღაზიებში პატრონები ყოფილა შენახული და აფეთქება მოხდა. ცეცხლის მქრობელთა რაზმმა მილიციელების დახმარებით ცეცხლი მალე ჩააქრო.

# საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

◆ დღეს, პარტიულ კლუბში საღამოს სწორედ 7 ს. დანიშნულია გაგრძელება კვირინდელ საზოგადო კრებისა. დასწრება შეუძლიათ მხოლოდ პარტიის წევრებს და თანამგრძნობლებს.

# საყოველთაო სწავლება

(შემდეგი)

**ამერიკა.** დღევანდელ სახალხო განათლების სისტემას ამერიკაში საფუძველი ჩაუდგეს ევროპიდან გადასახლებულმა პურიტანებმა. ესენი დასახლდნენ მასაჩუზეტში (1620 წ.) და ორი წლის შემდეგ ამ ახალშენის საერთო კრებამ აიძულა თითოეულს დასახლებულს ადგილებში კერძო პირები, რომელთაც დაავალა, რომ ყველა მშობლებს და სახელოსნოების პატრონებს საჭირო განათლება მიეცათ ბავშვებისათვის, ვინც ამ დადგენილებას არ შეასრულებდა, პირველად 20 შილინგით აჯარიმებდნენ, და თუ შემდეგშიც გამოიჩენდა დაუდევრობას, ბავშვებს სრულიად მოაშორებდნენ. სასკოლო გადასახადი პირველად ბოსტონში შემოიღეს, შემდეგ კი მთელ ამერიკაში გავრცელდა. 1647 წლის კანონით ამერიკაში თვითოეული საზოგადოება ვალდებული იყო გაეხსნა უფასო სკოლები. საზოგადოებებს, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 50 კომლამდის იყო ევალებოდა მასწავლებლის მოწვევა ბავშვებისათვის წერაკითხვის შესასწავლად. თუ საზოგადოებაში 100 ან მეტი კომლი იყო, უნდა დაეარსებინათ საგრამატიკო სკოლა, საიდანაც კურს დასრულებს უნივერსიტეტში შესვლა უნდა შესძლებოდათ.

განმათავისუფლებელი ომის შემდეგ ამერიკაში ყველა შტატებში ცდილობდნენ საზოგადოების სკოლებში ნაციონალური სისტემის შექმნას, ამასთან მთავარ პრინციპად მიღებულ იყო რომ ყოველ შტატს ევალებოდა ბავშვების სწავლება მოეწყოთ ყველა მოხარეების საშუალებით. იმ დროს, როცა ევროპაში სახალხო განათლების დარგში რელიგიური მოტივები სჭარბობდნენ, ამერიკამ ზურგი აქცია ამ საკითხს და სახალხო განათლებას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დიდებულ ამოცანად აღიარებდა. 1787 წლის ფედერატიული კონსტიტუცია ცენტრალურ მთავრობას არ ავალებს სახალხო განათლების შესახებ ზრუნვის, არამედ ეს საკითხი გადაეცა თითოეული შტატის უწყებაში. მაგრამ ამ გარემოებამ ხელი კი არ შეუშალა ფედერატიულ მთავრობას შეურყევლად დასდგომოდა ისეთს შეხედულობას, რომ მისი პირდაპირი მოვალეობაა წაახალისოს განათლების საქმეში მოღვაწენიც და იზრუნოს საერთოდ მთელი კავშირის სიკეთეზე.

ერთი საუკუნის წინად 1785 წელს კავშირმა გასცა სახალხო განათლების საჭიროებისათვის 150 აკრი სახელმწიფო მიწა (15 მილიონ დღიურამდის) წ. კონგრესმა განათლების ხელშეწყობის თანხად, სასწავლებლის დასახმარებლად 40 მილ. დოლარი გადასდო ...

დები, სასკოლო ფონდი დახმარების მილებით ერთად ისეთი დიდი საქმე იყო რომელმაც ძლიერ ფართოდ განავითარა დასაწყისი განათლების საქმე ამერიკაში ყველაზე მეტი ღვაწლი და გავლენა ამ მხრით სხვა შტატებზე მასსაჩუზეტსა და ნიუორკს მიუძღვის. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ამერიკაში საკმაოდ გაფართოებული და განსაზღვრული იყო საგრამატიკო სკოლების პროგრამები. საზოგადოებას სრული უფლება ჰქონდა სასკოლო საბჭოები და სკოლების შესანახად წვრილ-წვრილი ოლქები დაეარსებინათ, თავდაპირველად სკოლების ნახევრად შენახვაში საზოგადოებასთან ერთად შტ. ნიუორკმა მიიღო მონაწილეობა, ჩინებულად დაყენებულმა სახალხო სკოლების ინსპექციამ იმ სიმაღლემდე აიყვანა სასკოლო საქმეები, რომ იქამდის დღესაც ვერც ერთს სხვა ქვეყანას ვერ მიუღწევია. ამერიკის სასკოლო ინსპექცია სრულებითაც არ ჰგავს ჩვენებურს, იქ მას არავითარი ძალდატანებითი უფლება არ აქვს. მთელი გავლენა ინსპექციისა სასკოლო საქმეებზე წმინდა ზნეობრივია, რაც ემყარება პიროვნების მხნეობასა და საქმის ღრმად ცოდნას. სკოლების ხელმძღვანელებს ან საკანონმდებლო კრება ნიშნავს ან ხალხი ირჩევს. საკვირველიც არ არის, რომ ამერიკაში ისეთს თანამდებობაზე, როგორიც არის სკოლების მეთვალყურეობა, სასკოლო საქმეების ღრმად მცოდნესა და საქმიან ერთგულ მუშაკებს ირჩევენ.

მასსაჩუზეტის შტატში შემაერთებელ და საერთო მიმართულების მიმცემ ორგანოდ ბიურო არსებობს. ამ ბიუროში შედიან გამგე, ოთხი მოხელე და ერთიც კარგი მცოდნე პირი სასკოლო ჰიგიენისა. არც ბიუროს საერთოდ და არც გამგეს არავითარი ძალდატანებითი უფლება არ აქვთ, მაგრამ მათი ფაქტიური გავლენა საერთო მოქმედებაში და სასკოლო საქმეების გაუმჯობესებაში ძლიერ დიდია. ბიურო აგროვებს ყოველგვარს მასალებსა და სტატისტიკურ ცნობებს, რაც კი საჭიროა შტატში განათლების განსავითარებლად,ავრცელებს ცნობებს სკოლების საუკეთესოდ მოწყობისა, მართვა-გამგეობისა, სასკოლო სისტემისა და სწავლების მეთოდების შესახებ და სხ.

ერთი დამახასიათებელი თვისება ამერიკის დასაწყისი განათლების სისტემისა —დეცენტრალიზაციაში გამოიხატება, მეორე—ყოველგვარ ბრძანებლობის უკუგდებაში. მაგრამ აქედან სრულიად არ შეიძლება ისეთი დასკვნა გამოვიყვანოთ, თითქოს ამერიკის სახელმწიფო, როგორც ინგლისი, სრულიად არ ერეოდეს განათლების საქმეში. როცა შტატების მთავრობამ ამერიკაში განათლების თავისუფლება აღიარა, იმანვე ეს თავისუფლება განათლების მიზნისთვის გამოიყენა და მართლაც განათლების დიადი საჭიროების შეგნება ამერიკის ნაციონალურ ავლადიდების საგნად გახდა

პიროვნებისა და საზოგადოების სრული თავისუფლება განათლების დარგში შეერთდა სახელმწიფოს მოვალეობასთან, რომ ყოველს მოქალაქეს მისცეს შესაფერი განათლება საკუთარის ნიჭისა და მიდრეკილების კვალობაზე. ამერიკის ყოველ მოქალაქეს სრული უფლება აქვს ისარგებლოს კულტურის ყოველგვარ სიმდიდრით. ეს პრინციპი ყველა შტატების კანონმდებლობაშია გატარებული. როცა მთავრობა ასეთს თვალსაზრისზე სდგას, იგი ბუნებრივად და სრულიად თანდათანობით მიდის მეორე დასკვნამდის—იმოქმედოს რწმენით და არა ბრძანებით, ოასაც ამერიკაში მართლა თვალსაჩინო და ნაყოფიერი შედეგი მოჰყვა.

როცა ევროპის სკოლებში ცირკულიარების გზავნას დასასრული არ აქვს, ამერიკაში იმის ნაცვლად სკოლებს სახელოვან მეცნიერთა წიგნებს, ჟურნალებსა და ისეთს წერილებს აწვდიან, რომელიც ეხება ამა თუ იმ ცვლილებას, სტატისტიკურ ცნობებსა და სხვა და სხვა სასკოლო საკითხს. მართალია, შეიძლება ეს ნაბიჯიც იყვეს, მაგრამ იგი უფრო სარწმუნოა და კანონიერიც. ავიღოთ მაგ. ორი საშუალება სასკოლო ცნობების მიწოდების შესახებ ევროპასა და ამერიკაში. პრუსიის კანონი ავალებს ყოველ სკოლას ცნობები მიაწოდოს სამინისტროს, უკიდურეს შემთხვევაში სკოლის გამგეებს დაჯარიმებას და დატუსაღებას ემუქრებიან. ამერიკაში მასწავლებელი თავისუფალია ცნობების მიწოდებაში თუ არ მიწოდებაში იგი პასუხს აგებს მხოლოდ ცრუ ცნობებისათვის. შედეგი? პრუსიის მთავრობას აურიცხველ სკოლებიდან არ მისდის წლიური ცნობები, ამერიკაში ასეთი შემთხვევა შესაძლებელია მხოლოდ 9—10 სკოლაში და ისიც ან ავადმყოფობის, ან ფოსტის მიზეზის გამო.

თავისუფალი წესი განათლებისა ზოგად იდეების ქადაგებით ადგილობრივს ინტერესებს და ინდივიდუალობის გავლენას ისეთს გამოსავალს აძლევს, სკოლების ისეთს ერთობასა ჰქმნის, რომელსაც ვერავითარი ბრძანება და ცირკულიარები ვერ შეჰქმნიან. ამერიკის მთავრობა სასკოლო ცხოვრებაზე რწმენით მოქმედებს, იგი ცდილობს გადასცეს სკოლებს მდიდარი მასალა, რაც დაგროვებულია ევროპის ფილოსოფოსებისა და პედაგოგების ღრმა მოსაზრებით. მართლაც ამერიკის სკოლებში ყველგან იპოვით ყოველი ქვეყნის გამოჩენილი პედაგოგებისა და ფილოსოფოსების თხზულებებს. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ამერიკის რომელსამე მივარდნილს მიყრუებულს ადგილებშიაც კი ოლქის სასკოლო საბჭოში მასწავლებელთა და მცხოვრებთა წარმომადგენლები ხშირ კამათს ჰმართავენ საპედაგოგიო საკითხების გამო.

რამე გადაჭრილი ნორმა მასწავლებელთა ჯამაგირისა ამერიკაში არ არსებობს, თითოეული საგრაფო, თითოეული ქალაქი და სასკოლო კომიტეტი თავის შეხედულობის კვალობაზე განსაზღვრავს მასწავლებლის ჯამაგირსაც. ყოველ შემთხვევაში მასწავლებელთა ჯამაგირის რაოდენობა ამერიკაშიაც დიდს რყევაშია 1000 მ.—6826 მანეთამდე წლიურად.

ლ. ბოცვაძე.

(დასასრული იქნება)

## საქართველოს დამოუკიდებლობა და რკინის გზის მთავარი კომიტეტი

II

ამიერკავკასიის რკინის გზის მთავარი კომიტეტი არჩეულია რევოლიუციის შემდეგ ოთხფორმულიანი საარჩევნო წესით. როგორც მოსალოდნელი იყო, ლიახდაგმა დიდი უმრავლესობა ქართველი დელეგატები გამოგზავნა ყრილობაზე. ამას გარდა ქართველები უმრავლესობას შეადგენენ აგრეთვე ტფილისის უმთავრეს სახელოსნოსა და დეპოში.

იმ თავითვე კომიტეტს მერყეობა დასჩემდა და გაბედული პოლიტიკის წარმოებას გაურბოდა. ეს ნათლად აშკარავდებოდა მაშინ, როცა მოსამსახურენი ითხოვდნენ სამსახურის უფროსებს, ხოლო მთავარი კომიტეტი კომისიებს კომისიებზე ნიშნავდა, რომ ამგვარად იურიდიული ჩხირკედელაობის საშუალებით მოსამსახურეთა ზომაზე აღმატებული აღელვებისა და შფოთისათვის გაძნელებული წამალი გამოენახა. პირიქით, ისეთი გარემოებასაც კი ჰქონდა ადგილი, რომ მოსამსახურეები ითხოვდნენ რომელიმე უფროსს, მთავარი კომიტეტი კი ასეთებს ადგილს აძლევდა საქართველოს სხვა განყოფილებაში. ნავთსადენის (Керосинопроводъ) სამსახურის უფროსს ბ-ნ სკარჟინსკის ადგილი მისცეს რკინის გზის სასურსათო კომიტეტში, ხოლო „სლუჟბა სბოროვ“-ის ერთი განყოფილების უფროსს ბ-ნ ლიპსკის საქართველოს კანცელიარიაში. ყველა ესენი და სხვებიც დათხოვნილად ითვლებოდნენ, მაგრამ მთელი რვა თვის განმავლობაში განაგრძობდნენ ჯამაგირის მიღებას, და მხოლოდ მაშინ გაიბერტყეს ყური და ჯამაგირი მოუსპეს მათ, როცა ეს დათხოვნილი პირები შეუერთეს თვით მახრი თაოსნობით ამ სამი-ოთხი თვის წინად კონტრ-რევოლიუციონერობისათვის დათხოვნილ მოსამსახურეთა საკმაოდ მოზრდილ სიას.[1]) მოსამსახურენი განურჩევლად ეროვნებისა და ისიც, წარმომადგენლები, სამართველოში ითხოვენ მოხელეს, ხოლო მთავარი კომიტეტი მირშივე ჰკლავს ამ მოძრაობას და „ტაქტიკურ მოსაზრებათა“ გამო მოითხოვს დამორჩილებას. ყველა ამის მოგონება აქ იმისთვის დაგვჭირდა, რომ დათხოვნილ და გადაყენებულ უფროსთა ადგილებზე ახლები არ იხიზნებოდნენ, თასამეგები და მოადგილეები კი ადგილობრივი კომიტეტების ზეგავლენითა თუ მოსამსახურეთა საერთო განწყობილებისა გამო იხსნოდნენ, ეშინოდათ, ვერ იჩენდნენ საკმაო გაბედულებას და შედეგად ამ გაუკვევლობისა და დაბნეულობისა ის მივიღეთ, რომ სამუშაო სამი-ოთხი თვით უკან ჩამორჩა და მოსამსახურენი ამ გარემოებას არ დაგიდევენ იმიტომ, რომ მთავარ კომიტეტს ედგნენ ჯიბრში და იმის საქციელით იყვნენ გაგულისებულნი.

შემოსავალთა განყოფილების ბ-ნი ობოლენსკი, რომელიც მოსამსახურეებმა დაითხოვეს, კომიტეტმა ისევ უკან დააბრუნა. ამ ნიადაგზე გაიმართა ბრძოლა ადგილობრივ და მთავარ კომიტეტის შორის, რომელიც ბოლოს იმით დამთავრდა, რომ განყოფილების ხულიგანური ნაწილი შეიკრიბა და აშკარა ნდობა გამოუცხადა ქართველ მოსამსახურეების ზეგავლენით გაწბილებულ უფროსს აქ, ამ კრებაზე ბევრი რამ ითქვა ისეთი, რომ მთავარ კომიტეტს გაჩერება აღარ შეეძლო და ისიც იძულებული გახდა ბ-ნი ობოლენსკისათვის ერჩია ტომსკის რკინის გზაზე გადასვლა. მთავარ კომიტეტს რომ არ დაებრუნებია უკან ბ-ნი ობოლენსკი, მაშინ ხულიგანების კრებასაც არ ექნებოდა ადგილი და იქ ბ-ნი ობოლენსკი ვერ იტყოდა შემდეგ სიტყვებს: „არ ვიცი ნაციონალური თუ სხვა მოტივებით ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი კომიტეტის წევრები, მაგრამ ისინი მე პირადად მდევნიდნენ და სხვა უფროსებსაც ხელფეხს უბორკავდნენო“. ეს სიტყვები მიმართული იყო ადგილობრივ კომიტეტის ქართველ წევრების წინააღმდეგ, რომელნიც ყველაზე მეტ აქტივობას იჩენდნენ ბ-ნ ობოლენსკის დათხოვის საქმეში. ამ კრებაზე ეს კომიტეტი საპოლიციო ნაწილს შეადარეს და მოითხოვეს მისი სრულიად დაშლა და გადაყენება. მთავარ კომიტეტის უტაქტო განკარგულებამ გამოიწვია ყველა ეს ამბები, მხოლოდ მან მისცა საბაბი ადგილობრივ ხულიგანებს, რომ ადგილობრივი კომიტეტის მოღვაწეობაში ეროვნული მოტივი დაენახათ და საპოლიციო ნაწილისათვისაც კი შეედარებინათ. ის ინტერნაციონალურ მთავარ კომიტეტის მიერ უფროსის გამართლებით გახალდა ადგილობრივ ნაციონალური შუღლი და დაუნდობლობა და მხოლოდ ამის შემდეგ, როგორც იყო, გადაიყვანეს ბ-ნი ობოლენსკი ტომსკის რკინის გზაზე. ასეთ გაუბედაობისა და მერყეობის ბრალი იყო ისიც, რომ მოძრაობის განყოფილების კანტორის უფროსის ბ-ნ ლებედევის ადგილზე ბ-ნ ჯულელის დანიშვნამ რუს მოსამსახურეთა შორის ერთი ამბავი და დავიდარაბა გამოიწვია.

არც ერთს ასეთ ამბებს არ ექნებოდა ადგილი, რომ მთავარი კომიტეტი თავიდანვე შესდგომოდა განყოფილებათა უფროსების დათხოვნას და არ ეცადა იმ დროსათვის, სანამ საქართველო თავის დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. რევოლიუციის პირველ თვეებში უფრო ადვილი იყო ასეთი ზომების გაყვანა, ვინემ შემდეგ, როცა მართველობის რუსი მოხელეები მიემხრნენ ესერებს და აშკარად კავშირი გასწყვიტეს მენშევიკებთან. ეს გარემოება კარგად ესმით მთავარი კომიტეტის მენშევიკებს. მათ უნდა იცოდნენ, რომ მართველობის ესერობა ისინი საშინლად მოატყუილეს. პოლიტიკური ბალღობა დაუმტკიცეს მათ და საერთო ხელჩაკიდებული ბრძოლისა და მუშაობის ნაცვლად მართველობის საერთო კომიტეტის წევრებად ესერების სახით ხამდვილი ხულიგნები და კონტრ-რევოლიუციონერები გაუგზავნეს. მთავარი კომიტეტი მიხვდა თავის შეცდომას, მაგრამ გვიანღა იყო. რუს მოხელეთა შორის რევოლიუციონერები გაჰქონდნენ და მით მენშევიკების ლოლიაობასაც ესერებისადმი ბოლო მოეღო.

ასე დარაზმა მენშევიკების ტაქტიკამ რუსი რეაქციონური ელემენტი მართველობაში. მთავარ კომიტეტის მიერ დროზე ზომების მიუღებლობამ ხელი შეუწყო რეაქციონერთა გაძლიერებას და, რა გასაკვირველია, თუ ამის შემდეგ მენშევიკებმა დაიწყეს „პროსკრიპციული“ სიების შედგენა და წყეულ „მესამე მუხლის“ ამუშავება. ამ გზით მთავარმა კომიტეტმა ამ ოთხი თვის წინად გამოაქვეყნა სია მართველობიდან დათხოვნილ რუს მოხელეებისა. მოხდა ის, რასაც მას ეუბნებოდნენ დიდი ხნით ადრე ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები. ასეთმა ნაგვიანევმა ზომებმა მაინც ვერ ამოსწყურეს წარსული დანაშაული მთავარი კომიტეტისა. ეს დანაშაული კი შემდეგში მდგომარეობს: მართველობის მოსამსახურეთა უფრო აქტიური ნაწილი (ქართველები) მოითხოვდა დემოკრატიზაციის გატარებას ცხოვრებაში იმ მხრივ, რომ ძველი წყობილების ერთგული უფროსები სუყველა დაეთხოვათ ადგილებიდან. ამ რჩევას მთავარი კომიტეტი არ გაჰყვა და მაშინაც ხელ-ფეხს უბორკავდა ადგილობრივ კომიტეტებს, როცა დამოუკიდებლად უმტკივნეულოდ გაჰყავდნენ ეს დემოკრატიზაცია მოსამსახურეებს ადგილობრივ. ასეთს საქციელს ის მოჰყვა შედეგად, რომ მოსამსახურეებმა საქმეზე გული აიცრუეს, თან ამ ბოლო ხანებში სამუშაოც შემცირდა, უფროსებს არ გააჩნდათ ძალა უფლება, კომიტეტებს კიდევ არ ესმოდათ სამსახურის მართვა გამგეობა, ერთისიტყვით, აირია მოხასტერი და კიდევ გამობრუნდებოდა საქმე, რომ სათავეში ყოფილიყვნენ ისეთი პირები, რომლებსაც შესძლებოდათ მაგარი პოლიტიკური კურსის დაჭერით მოსამსახურეებზე ზნეობრივი და ფიზიკური ძალების შემწეობით ზემოქმედება მოეხდინათ. ეს ღირსება მთავარ კომიტეტის წევრებს არ აღმოაჩნდათ. ან რა უნდა მოსთხოვოთ საქმის მართვა-გამგეობისა იმ ადამიანებს, რომელთა შორის მოიპოვება ისეთი, რომელსაც თავისი რევოლიუციური კარიერა პოლიტიკური ზანტაჟით შეუქმნია. *) მაგრამ უმთავრესი უბედურებაც იმაში მდგომარეობდა, რომ კომიტეტში თავი მოეყარათ ისეთ პირებს, რომელთაც შესაძლებელია სცოდნოდათ თუ რომელმა ქართველმა მოღვაწემ გადმონერგა მარქსიზმი საქართველოში, მაგრამ იმისა კი არა გაეგებოდათ, რომ ყოველგვარ დაწესებულებას აქვს საქმეთა წარმოების განსაკუთრებული წესები, რომელთა ცოდნა არის სავალდებულო განსაკუთრებით იმათთვის, რომელნიც კისრულობენ ამ დაწესებულებათა სათავეში მოქცევით ერთგვარი კანტროლი და ადმინისტრატიული ძალა-უფლება განამტკიცონ უწყებაში. ეს გახლდათ, თუ გნებავთ, მთელი ტრაგიზმი მთავარ კომიტეტის წევრების მდგომარეობისა. რევოლიუციური და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი ერთმანეთში აურიეს და ცნებათა არევის ამ ნიადაგზე წარმოიშვა ათასგვარი ბოროტმოქმედება, სამუშაოს ჩამორჩენა, შეგნებული საბოტაჟი და ასე სახელმწიფოს სკივრის სისტემატიური ფლანგვა და დაცალიერება. რევოლიუციური კანტროლი შეუძლებელია იქ, სადაც საქმის უმთავრესი და პასუხსაგები მხარე პოლიტიკურად არასაიმედო პირებს აბარია. ამ პირობებში ბოროტმოქმედება ყოველთვის მოსალოდნელია. რევოლიუციის დროს პოლიტიკურად არასაიმედო პასუხისმგებელი მოხელენი უნდა განდევნილიყვნენ ადგილებიდან, მაგრამ მთავარმა კომიტეტმა ეს არ მოიმოქმედა, სამაგიეროდ ვერც მიზანს მიაღწია, ვინაიდან ძალა-უფლების ადგილობრივ კომიტეტებსა და ადმინისტრაციის შორის განაწილებამ საქმე უფრო არია, წარმოშვა ორუფლებიანობა, რაც წესიერ სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის ყოვლად მიუღებელი და შეუწყნარებელია. ამ აბნაური ჭეშმარიტებისათვის ანგარიშის გაუწევლობამ ყოფილი ამიერკავკასიის რკინის გზა საშიხელ მდგომარეობამდის მიიყვანა. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი ენაცვალა რევოლიუციურ მოსაზრებას, მაგრამ ვერც ერთმა კი ვერ გაიმარჯვა. პირველმა იმიტომ, რომ ერთიან დაეცა წარმოება და შემოსავალი რკინის გზისა და მეორემაც იმიტომ, რომ ამ არევდარევასა და რკინის გზის დაცემას უმთავრესად იმათ შეუწყვეს ხელი, რომელთაც სხვა და სხვა კომიტეტები და კომისრები ჰყავდნენ მიჩენილი სადარაჯოდ. რკინის გზა სახელმწიფოს დღეს მეტად ძვირად უღირს ყოველდღიური 5—10 ათასი მანეთი შემოსავალი და 500.000 დღიური ხარჯი ასეთი იყო ყოფილ ამიერკავკასიის რკინის გზის შემოსავლიანობა შტატების შემცირებამდის.

საქართველოს რესპუბლიკას მეტად ცუდ პირობებში უხდება რკინის გზის ნაიარება. საჭიროა დიდი შემოქმედებითი ნიჭი და მუშაობის უნარი, რომ სახელმწიფოს ეს აუცილებელი ხერვი სწორი მუშაობის კალაპოტში ჩადგეს და მით უზრუნველყოფილ იქმნას უმთავრესი და აუცილებელი აპარატი სახელმწიფოსი. როგორი მუშაობაა ამისთვის საჭირო და რა გააკეთა, ან რას აკეთებს ამ მხრით მთავარი კომიტეტი?

(დასასრული იქნება.)

გარეშე.

[1]) ამ ნაბიჯის გადადგმა გამოწვეული იყო ბოლშევიკების საფრთხის დაძლევითა და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებით.

გ—ე.

*) საჭიროების მიხედვით მზადა ვარ დავამტკიცო ეს მეტად მძიმე ბრალდება.

გ—ე.

## მიხეილის საავადმყოფოში

დღეს ყველა დაწესებულებაში სცდილობენ ნაციონალიზაცია გაატარონ და უვარგისი პირებიც დაითხოვონ. სამწუხაროდ ეს არ ითქმის მიხ. საავადმყოფოზე. უკანასკნელი ისევ მველებურად განაგრძობს თავის არსებობას და არავითარი გამოცოცხლების ნიშნები არ ეტყობა.

ეს კია, რომ დაბალი მოსამსახურენი ძალიან ხშირად კრებებს მართავენ და თავის მდგომარეობის გაუმჯობესობაზე რეზოლიუციები გამოაქვთ.

მიხ. საავადმყოფოში დაახლოებით 150 ავადმყოფი წევს და ამდენივე დაბალი მოსამსახურეები მსახურობენ. მათ შორის მხოლოდ ერთი თუ ორი ქართველია; დანარჩენი რუსები არიან და ორიოდე სომეხი. ექიმი 15 კაცია, მათში 5—6 კ. ქართველია. კანცელარიაში 10 კაცია, მათში არც ერთი ქართველი არ არის. აქედან მკითხველი დაინახავს, რომ საავადმყოფოს „შტაბი“ იუსულია და უფრო მეტია, ვიდრე ავადმყოფები. ეხლა არ იკითხავთ, ვინ რას აკეთებს? მას შემდეგ, რაც საქ. რესპუბლიკა გამოცხადდა, ყველამ გულზე ხელები დაიკრიბა და სრულიად უყურადღებოდ დარჩნენ ავადმყოფები. რასაკვირველია ეს არ ითქმის ზოგიერთ ექიმებზე და განსაკუთრებით ქართველებზე. ნიმუში უსაქმურობისა [illegible] კონტრ-რევოლიუციონერობისა მე [illegible] მოვიყვანო.

ამ დღეებში გუშინდელი „რევოლიუციონერი“ დაბალ მოსამსახურეთაგანს შემხვდა და საქართველოზე ლაპარაკი ჩამოაგდო და მრავალ პროვოკაციურ აზრებთან ერთად მხურვალე სურვილი გამოსთქვა მიხეილის ტახტზე ასვლის, რომ საქართველო მოისპოს სამუდამოდ. ამ აზრისა, როგორც შემდეგ დავაკვირდი, თურმე ბევრნი ყოფილან და მთელი ეს „საპროპაგანდო გუნდი“ პროვოკაციის და კონტრ-რევოლიუციის ბუდედ გარდაიქცა. უკანასკნელ კრებაზე მოსამსახურეებმა დაადგინეს ჯამაგირების გადიდება და სურვილი გამოსთქვეს, გარდა ოთახის და საჭმელისა, 400 მანეთი მიეცეს თითოს თვეში! მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს ხაზინას, სხვა ტვირთთან ერთად, ეს სიმძიმეც დაატეხოს...

იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ავადმყოფები უპუროდ დასტოვეს და თითონ კი გაძღნენ. განა ამაზე მეტი თავგასულობა კიდევ იქნება? ჩვენ ვკითხებით, სად იყო ამ დროს უფროსი (რუსია) ექიმი, ან რას აკეთებდა საავადმყოფოს ზედამხედველი (რუსია)?.. ესენი იქ იყვნენ, ყოველივე იცოდნენ და სდუმდნენ.

შეიძლება ბევრი მაგალითი მოვიყვანო მიხ. საავადმყოფოს ანორმალურ ცხოვრებიდან, მაგრამ ჩვენ რევიზია არ და გვისახავს მიზნად, გვინდა მხოლოდ საზოგადოების და ვისიც ჯერ არს ყურადღება მივაქციოთ.

რაც შეეხება კანცელარიას, რომ სუყველაფერს რუსულ ენაზე აწარმოებენ და ნაციონალიზაციის ნასახიც კი არა სჩანს, აქაც ხომ ღრმა თერმინები არ არის საჭირო ავადმყოფების გვარების ჩაწერის დროს?!.

რამდენადაც ვიცი ექ. ვირსალაძე და ექ. ნ. ჯავახიშვილი სხვა ქართველ ექიმებთან ერთად სცდილობენ საქმე გააუმჯობესონ, მაგრამ მათ მთავრობაც უნდა დაეხმაროს, რომ, ჯერ ეს ერთი, საავადმყოფო სასწრაფოდ გააქართულონ; მეორე კონტრ-რევოლიუციონერები ალაგმონ და საერთოდ საავადმყოფო თავის შესაფერ ნიადაგზე დააყენონ.

ეს აუცილებელი, სამართლიანი და სადღეისო მოთხოვნილებები ცხოვრებაში უნდა გატარდეს და უსურვოთ ამისათვის მხნეობა და უნარი ქართველ ექიმებს. ნურავინ იტყვის, რომ ეს შეუძლებელია.

გ. გ.

## რა აბრკოლებს რკინის გზათა ნაციონალიზაციას?

ჭეშმარიტებაა: ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზედა დგას, მისთვის ცხადი უნდა იყოს რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის და იქნება ქართული. (საქ. რესპუბლიკა).

ამ ჭეშმარიტების განხორციელებას, თუნდა ნელა, თანდათანობით და უმტკივნეულოდ, რაღაც დაბრკოლებაა ელოდება, რომლის ნამდვილი მიზეზი, მგონი უსაფუძვლო შიშის გარდა არა არის რა.

ქართულ კლუბში რკინის გზის მოსამსახურეთა კრებაზედ პრინციპიალურად ყველანი თანახმანი იყვნენ,—ნაციონალიზაცია უნდა მოხდესო. ოღონდ ნუ ავიჩქარებთ, მტერმა არ დაგვცინოსო.

რა და რისთვის უნდა დაგვცინოს მტერმა ამაზედ არა სთქვეს რა.

ერთს ორატორს, რომელიც გაცხარებით ამტკიცებდა,—ქართულში სუსტად ვართ, დავიცადოთო, წამოსცდა სიტყვები: ქართული სუსტად ვიცით და რუსული ხომ სულაც არაო.

ენის ბორძიკად მიიღო კრებამ ეს სიტყვები, თუმცა სრული სიმართლე აღიარა ორატორმა, რკინის გზის მოსამსახურემ, ქართველმა, ქართული უკეთ იცის, ვიდრე რუსული ქართული მართებულად ლაპარაკობს, რუსულს სამარცხვინოდ, ქართულად დაწერილს ბრძანებას ან რაიმე განკარგულებას გაიგებს და შეიგნებს, რუსულად იგი განკარგულება გაუგებარი რჩება.

მაშ როგორ წარმოვიდგინოთ, რომ ლიბინის და დუბროვინის მიერ ხელმოწერილ, რუსულად შედგენილ ბრძანებებით ქართველი მოსამსახურენი ხეირიანად განაგებდნენ საქმეს, და დღეს კი, თუ იგივე ბრძანებანი ქართულად მიუვათ, აბელიშვილის ან ოდიშელიძის მიერ ხელმოწერილი, საქმეს წაახდენენ და მტრის გასაკიცხი გავხდებით? მიწერ-მოწერას ბრძანებთ? ქართულად თავის აზრს ყველა უკეთ დასწერს, ვიდრე რუსულად; დასწეროს ისე, როგორც ლაპარაკობს და რუსულისა კი არც ლაპარაკი იცის, არც მით უფრო წერა. მართალია ეს მიწერ-მოწერა რუსთაველის ენით არ იქნება, მაგრამ გაცილებით ნაკლები შეცდომები დასჭირდება, ვიდრე რუსულად, თვით რუსთაგან შედგენილ ქაღალდებს.

შეიძლება სთქვან, ქართულის უვიცნი რომ წავიდნენ, საქმეს ვეღარ გავუძღვებითო?

უსაფუძვლო შიში, რადგან დღეს საქართველოს ამიერ-კავკასიის გზისა ორმოცდა ორი მეასედილა შერჩა და ის მოსამსახურენი, რომელნიც ბათომში იყვნენ, განჯა-ბაქოსკენ, ყარს-ჯულფისკენ დაბრუნდნენ და უსაქმოდ არიან. საქმეც იციან, გამოცდილება აქვთ და უმთავრესი სიყვარული თავის ეროვნულ საკუთრებისა.

ნაციონალიზაცია გვინდა; ქართულისა და საქმის მცოდნე მოსამსახურენი უსაქმურად გვყავს, მართველობაში კი უმრავლესობა უცხონი არიან და საქმის წარმოება ძველებურად რუსულად რჩება.

თუ დასაცინი გვაქვს რამე, მგონი აქა ვართ დასაცინი და არა სხვაგან სადმე.

მიწერ-მოწერა ქართულად უკვე იწყება ქართულად მოწერილი ქაღალდი იძულებული ვართ რუსულად ვთარგმნოთ რომ საქმის წარმოებისათვის, მოხელეთათვის გასაგები იქმნას, მერე? რუსულად შედგენილი პასუხი ისევ ითარგმნოს ის და გვაკლია, ახალი თანამდებობა გავაჩინოთ, თარჯიმანებისა, და ღირსეული ჯამაგირები ვაძლიოთ ჩვენი ოქროთი გატენილ ხაზინიდან.

თითონ მოსამსახურენი გრძნობენ თავიანთ ყალბ მდგომარეობას და გვთხოვენ —ჩვენ აქ მეტნი ვართ. ნება გვიბოძეთ წავიდეთ, ოღონდ ნამსახურობის ჯილდო გვიბოძეთ იმავე წესით, როგორც შტატგარეშე დატოვებულთ მიეცითო. ამ ჯილდოს მიღების იმედი, რომ ჰქონდეთ, მრავალი წავა და სწორედ უმტკივნეულოდ განხორციელდება ნაციონალიზაცია. მაგრამ ჯერ-ჯერობით საქმე გამოურკვეველია. თუ ყაირათით მოგვდის, შემცდარნი ვართ, რადგან ადრე იქნება თუ გვიან დავითხოვთ და წესიერ ჯილდოს ნამსახურობისას მივცემთ; მანამდე კი ჯამაგირსაც ვაძლევთ, თუმცა კარგად ვიცით, რომ წამავალს, რომელიც დღე და ღამ შიშით არის მოცული—აი ეხლა დამითხოვენ, აი ეხლაო, ვერც გულმოდგინე შრომა მოეკითხება, ვერც საქმისადმი სიყვარული და ერთგულება.

ეს ყაირათი კი არა, ფულის უნაყოფო ფლანგვა გამოდის და იქნება საქმის ღალატიც. „საქართველოს რესპუბლიკის" ერთხელ ნომერში წაიკითხავდით, რომ არსებობს წრე, რომლის მიზანია ყოველგვარი ზიანი მიაყენოს ჩვენს სამშობლოს ძარცვით, სპეკულიაციით, ქურდობით, კაცის კვლით და სხვ. ვინ არის თავდები რომ ამ წრის წევრები არ გვისხედან სამსახურში და თავის განზრახვას არ ასრულებენ?

მაშ რა აბრკოლებს რკინის გზათა ნაციონალიზაციას?

ვ. მ—ანი

## პარტიზანის წერილი მეგობართან

ეს მეექვსე თვეა, რაც მე წერილი არ გამომიგზავნია. ამის მიზეზი ის არის, რომ ამხანაგებთან ერთად ჩავეწერე ბათომის პარტიზანულ პოლკში. ახლა ვსარგებლობ რა რამოდენიმე ხნით სამხედრო საქმეებისგან მოცალებით მინდა გაგიზიარო ჩემი თავგადასავალი, რაც განვიცადე ივლისის 4—23-მდე ტფილისიდან ლარსამდე ბოლშევიკების სახელით შემოსეულ ავანტიურისტებთან ბრძოლის დროს. საქმე იყო ასეთნაირად: ივნისის 30 ჩვენი პოლკი პოლკოვნიკ ი. გედევანიშვილის მეთაურობით ჩამოვიდა ტფილისს აწყურის ბრძოლის ველიდან თვენახევარის დაუსვენებლივ მტერთან უთანასწორო ბრძოლის შემდეგ (ჩვენი პოლკის აწყურთან სამხედრო ოპერაციების შესრულების ამბავს გაიგებდით). სამი დღის დასვენების შემდეგ გამოგვიცხადეს, რომ მზად ვყოფილიყავით გასამგზავრებლად საქ. სამხ. გზით დარიალის ხეობისკენ. ივლისის 4-ს ჩვენი პოლკი მთელ თავის შემადგენლობით, ჩვენის სასიქადულო პოლკის უფროსის ი. გედევანიშვილის წინამძღოლობით უკვე მიემგზავრებოდა წიწამურის გზით ანანურისკენ ჩვენი მზვერავთა რაზმი წინ მიუძღოდა დაშორებით ასეულებს. მიუახლოვდით სოფელ ჟინვალს. საღამო დრო იყო. დავბანაკდით მინდვრად. პოლკის უფროსმა გამოგვიცხადა, რომ ჩვენ უკვე ვიმყოფებით ბრძოლის ველზე და შესაფერი დარიგებაც მოგვეცა. მზვერავებმა პორუჩიკი დ. სამუშიას მეთაურობით წავიწიეთ წინ და უკვე დაღამებული იყო, რომ ჟინვალის ხიდი, სადაც ბოლშევიკებს დაეყენებიათ, დარაჯები ჩვენს ხელში იყო. დილით ადრე დავიკავეთ სოფ. ჟინვალიც ღრმად მოხუცებულის მეტი ყველანი გახიზნულიყვნენ სოფლიდან მივდივართ წინ. გზაზე დავატყვევეთ ორი შეიარაღებული მსწრაფლ-[illegible] გაბოლშევიკებუ- გამოგზავნილი. იქვე შევიტყვეთ რომ ბოლშევიკების რაზმი ორის ტყვიისმფრქვეველით გვისაფრდებოდა გზის პირით მაღლა ტყიან გორაზე. მზვერავები ავეფინეთ მაღლა, დაუარეთ მტერს მოხერხებულის გზით სამუშიას გეგმით, რომლის შედეგი ის იყო, რომ მივაგენით მათ გამაგრებულ ადგილს და მცირე ბრძოლის შემდეგ წავართვით ორი ტყვიისმფრქვეველი „მაქსიმას" სისტემისა. რამოდენიმე მეამბოხე ტყვეთ წამოვიყვანეთ და ოც და ათ კაცამდე უგზოუკვლოდ გაიფანტნა ულრან კლდეტყეში. მიუახლოვდით ანანურს. რამოდენიმე წუთით შევჩერდით. პოლკის უფროსმა ასეულების უფროსებს მისცა საჭირო განკარგულება, ჯარის კაცები მამობრიულის სიტყვებით დაგვარიგა. გაგვამხნევა, რის შემდეგ დავეწყვეთ შეუსატევად და უშიშრად გავსწიეთ წინ. პატარა ხანმა გაიარა და ანანურის ხეობა მოიცვა ტყვიისმფრქვეველების და თოფ-ზარბაზნის გრიალმა, გვესროდნენ უმოწყალოდ ყოველის მხრიდან. მტერს ამოერჩია მთავარ სიმაგრედ ანანურის ეკლესიის ციხეები. მზვერავები დავეშვით ძირს არაგვის ქალებით. ჩვენთან არის სამუშია, შენგელია და ოფ. უსტინოვი. საშინელი სროლაა. ტყვია წვიმასავით მოდის. სულიერი განწყობილება ჩვენი კარგია. ეტყობა, ყოველი რაზმელი მხოლოდ იმაზე ფიქრობს მტერს თავი ძვირად დაუსვავს. პოლკის ბელადი გედევანიშვილი სულ ჩვენთან ტრიალებს, წინა ხაზებზე დარიგებას დარიგებაზე იძლევა. სულ ცოტახანი და გაისმა გმირული ხმა უფროსისა „ასეულო წინ!" ყიჟინა და შევვარდით ქალაქში ბრძოლით. ავანტიურისტები დაიბნენ და იბრუნეს პირი გასაქცევად დაერიენ ჩვენები. აჰყარეს იარაღი და იპყრეს ტყვეებს. შემოგვიერთდა პირველი ასეული დაფქვიაშვილის წინამძღოლობით, ტყვიისმფრქვეველთა რაზმის ოფიცერი იასონ ჯლამაია კი რამდენიმე ამხანაგებით ავარდა ეკლესიის ციხეზე და ჩაიგდეს ხელში მტრის ტყვიისმფრქვეველები. ანანური ჩვენს ხელში დარჩა. ხელთ ჩავიგდეთ მრავალი თოფიარაღი, სურსათი, ცხენები და ტყვეები, რომელთა შორის შეამჩნევდით ბლომად სომხებს, რუსებს, ოსებს და თათრებსაც კი. შევიტყვეთ, რომ რამოდენიმე საათის წინად ბოლშევიკების ნაწილი ორის ზარბაზნით გაიქცნენ ფასანაურისკენ. გედევანიშვილმა იქვე მსწრაფლ შეადგინა ცხენოსანთა რაზმი და შეუპოვრად გამოედევნა უკან რამოდენიმე საათის შემდეგ გამარჯვებული ამხანაგები ორის ნადავლი ზარბაზნით, თოფებით და ტყვეებით ანანურსავე დაბრუნდნენ. მთელი ქალაქი გადავიდა გედევანიშვილის განკარგულებაში და ამასობაში დუშეთის მხრიდან მოვიდა გვარდიელთა რაზმი ვ. ჯულელის მეთაურობით, რომელთაც გადაეცათ ტყვეები. ამასობაში დაღამდა ჩვენი პოლკი ოთხი დღის დაუსვენებლივ მოქმედების შემდეგ დაბანაკდა მინდვრად. ამ ოპერაციების დროს ჩვენის ბელადის ი. გედევანიშვილის მიხან შეწონილ გმირობას ჩემი სუსტი კალამი ვერ აწერს. ამას დამიმოწმობენ ჩემზე უფრო მეტი გამოცდილი და მცოდნე ამხანაგები. ორი დღის შემდეგ გავემგზავრეთ ფასანაურისაკენ. წინ გაიგზავნა გვარდიელთა რაზმი. გვციარეთ დაახლოვებით 7 ვერსი. სიცხეა. გზაზე შემოგვეფეთა შეკაზმული, უმხედროდ ცხენები და რამოდენიმე გვარდიელი. ამათ გვიამბეს, რომ მათთვის ბოლშევიკებს გზა გადაუჭრიათ, აუტეხიათ სასტიკი სროლა და რამოდენიმე ამხანაგიც დაუჭრიათ. გადმოგვცეს, წინსვლა არ შეიძლებაო ჩვენ მაინც წინ მივიწევდით. გედევანიშვილი და კაპიტანი გ. ქუთათელაძე ჩვენთან არის მცირე თათბირის შემდეგ მოგვცა წინადადება მოგვეარა სონდის მაღლობისთვის, ავეღო იქ გამაგრებული ციხე, რომელიც გადაჰყურებს სოფელ ჰართალს და იქიდან დავცემოდით გზაზე გამაგრებულ მოპირდაპირეს. მზვერავებიდან გაგვამწკრივეს 15 ამხანაგი. უფროსმა ერთხელ კიდევ გაგვიმეორა მოცემულ წინადადების მნიშვნელობა, გზა დაგვილოცა და ჩვენც შეუდექით მაღალ მთებს. ძნელია აწერა იმ მთაზე ჯოჯოხეთური გზით ასვლა. ყოველ ფეხის გადადგმაზე გვხდებოდა თვალ უწვდენი კლდიანი ხრამები, მაგრამ ჩვენი ამხანაგი პარტიზანები დაუზარებლად, მოსწრებულის ოხუნჯობით გადადიოდნენ კლდიდან კლდეზე. ერთ ალაგას შევამჩნიეთ 15 მეტი შეიარაღებული კაცი როდესაც მათ გარს შემოვერტყით, ისინი აღმოჩნდნენ გვარდიელები, რომელნიც ვერ ასულიყვნენ ასეთი გზით მთაზე და უკანვე გამობ-

უკვე მოვექეცით დანიშნულ ციხეს ერთი ვერსით ზევით. ტყეში მოვკარით თვალი რამოდენიმე შეარაღებულ კაცს. მათში ზოგი დავიჭირეთ, ზოგიც დაიჭრა. დავეშვით ციხისკენ ყუმბარების სროლით. ბოლშევიკები დაფეთებულან. ბევრი გაქცეული და ათამდის ციხეში შეპყრობილ იქმნა. იქვე ამოსულა ნაწილი გვარდიელებისა, რომელთაც წაასხეს დატყვევებულები. ჩვენ დავეშვით ქვევით გზისკენ. საშინელება დაღმართია ხშირ ეკალხეებით. მიუახლოვდით ჩუმად გზას, სადაც ჩამსხდარა ასამდე კაცი მოხერხებულ საფრებში და გაცხარებულად ესვრიან ჩვენებს, რომელნიც დაშორებულნი მათგან ორის ვერსით. მათ შუა არის გზაზე დაგუბებული დიდი ტლაპო, რაც წინდაწინვე აეტეხად ხელოვნურად აჯანყებულებს. სამუშიამ გაგვაფრთხილა, ჩვენი მიახლოვება არავის შეემჩნია ასე სამარისებურ სიჩუმით მიევპარეთ მტერს, სამოც ფეხის ნაბიჯამდე მუცლით გაწოლილნი. ყველამ ხელით-სასროლი ყუმბარები დავამზადეთ. ამხანაგები გაფიცულნი ვართ: ან გამარჯვება, ან სიკვდილი. გასავალი გზა არსაიდან იყო, თუ მტრის ხაზები არ გაირღვევოდა. ამ დროს გაისმა უფროსის მედგარი ხმა: „ასეულო ისროლეთ!" მტრისგან დაკავებულ საფრებში მოულოდნელად გაისმა ქუხილისებური გრიალი ყუმბარებისა. აჯანყებულთა ბრბოს აებნა დავთარი და აიკურცხლა. ჩვენ მყისვე დავიჭირეთ მოპირდაპირის საფრები. დავუწყეთ სროლა, მტერი ქუდ მოგლეჯილი გარბოდა. ჩვენ ვიყავით ცამეტი კაცი და ოცჯერ მეტ მოწინაამღდეგს ვერ გამოუდგებოდით. ჩვენებს მოშველება აგვიანდებოდა. ალბად გზაზე დაყენებული ტლაპო ხელს უშლიდა. იქ მტერს დარჩა რამოდენიმე დაჭრილი, მოკლული ცხენები, ცხრა ტყვე და თოფები. ცოტა ხანს შემდეგ მოვიდნენ ჯულელი რაზმით და ჩვენები. წინ მიდიოდენ ჩვენი ცხენოსნები. მთელი რაზმი მისდევდა მტერს გედევანიშვილის მეთაურობით ასე ჩვენებმა დაიკავეს ფასანაური სადაც მრავალი ტყვე და იარაღი ხელთ ვიგდეთ. ჩვენ ფასანაურთან დაგვიჭრეს კორნეტი გაბუნია. აჯანყებულების მეთაურნი შევიპყარით.

ფასანაურში წესიერება დამყარდა. ჩვენ გავსწიეთ წინ მლეთისკენ. წინ მიგვიძღვება გმირი გედევანიშვილი, რომელიც გამოცდილის თვალით ჯერ თითონ დაათვალიერებს გზის მიდამოს და მერე ჩვენ გვატარებს. ყველას მხნეობა გვემატება მისი შეხედვით. მაგრამ თან ვშიშობთ, რომ ულმობელმა ტყვიამ ვერაგ მტრისაგან გამოსროლილმა მას არაფერი ავნოს უმისოდ ჩვენ რისამე გაკეთება კი არა, არსებობაც ვერ წარმოგვიდგენია. ფასანაურს 7—8 ვერსი რომ გავცილდით აგვიტეხეს ძლიერი სროლა. მგზავრობის გაგრძელება პირდაპირის გზით შეუძლებელია დავიჭირეთ პოზიციები. ჩვენ, მზვერავები წინ მარცხენა ფრთით მთებს აგყევით. ბატალიონის უფროსი გურგენიძე და პორუჩიკი შენგელია დაგვიჭრეს. პორუჩიკი მ. გულისაშვილი თავის ასეულით წინ მიიწევს. ის მიდის გაშლილ მინდვრით. უშიშრად მივდივართ მთის მწვერვალისკენ, საიდანაც მტრის საფრთხე გვიგულება. ავიტეხეს სროლა ყოველი მხრიდან. გავიგეთ, მ. გულისაშვილი მძიმედ დაგვიჭრესო. ამ გარემოებამ მეტის მეტად გაგვამწარა და როდესაც შევიტყვეთ, რომ ის უკვე გარდაიცვალა ჩვენს გულის წყრომას და შეწუხებას საზღვარი არ ჰქონდა. გულისაშვილი იყო მებრძოლი რევოლიუციონერი. საუკეთესო ამხანაგი და მისი ასე უდროოდ სიკვდილი ყველას ცეცხლად გვედებოდა გულზე. ავედით მთის წვერზე იქ მოგვიკლეს ამხ. პარტიზანი კიკნაძე. ბრძოლით ავიღეთ ყველა სიმაგრეები, რომელიც მტერს დაეკავებინა და დაღამებული იყო, რომ ჩამოვედით დაბლა სოფელში, სადაც ჰქონდათ შტაბი ჩვენის რაზმის მიახლოვებას ვეღარ გაუძლო მოწინაამღდეგემ და დაიხია დასტოვა დაჭრილები.

მეორე დილით მივემგზავრებოდით მლეთისკენ. გზა და გზა სასტიკი ბრძოლა გვიხდებოდა მაგრამ საღამოს მაინც მივედით მლეთს და იქ წესრიგაც აღდგენილ იქმნა. ღამე მლეთში ვართ. დილით ადრე ავყევით გუდაურისკენ. ვერ წარმოიდგენ როგორის სიმაგრეებიდან გვესროდა მტერი, მაგრამ ჩვენ ყოველივე დაბრკოლება გადავლახეთ. ჩვენს პარტიზანებს არაფერი აჩერებდა, ისინი ტყვიის წვიმაში მიდიოდნენ წინ და საღამოს გუდაურში იყვნენ. ბევრი ტყვიები და იარაღი ჩავიგდეთ

იმავე საღამოსვე განვაგრძეთ წინსვლა კობისკენ. გზაზე ვატყვევებთ და თოფებს ვაყრევინებთ მტერს. დილით ადრე გავჩნდით კობს. აქ ტრუსოს ხეობასთან დაგვიჭრეს მამაცი მზვერავი ა. გვენეტაძე და ასეულიდან ერთი პარტიზანი. ხელში ჩავიგდეთ ტყვეები, თოფები და სურსათი. იმ დღესვე გავეშურეთ ყაზბეგისაკენ. ჩვენ ცხენოსან მზვერავებს შემოგვიერთდა ჩახავას მეთაურობით ცხენოსანთა რაზმი. თითქმის ჰენებით მივეშურებით ყაზბეგში. სიონს რომ გავსცილდით, მოხევენი სიხარულით გვხვდებიან ყველგან გაისმის: „გაუმარჯოს საქართველოს". ყაზბეგი ბოლშევიკებს დაუტევიათ. იქ გავიგეთ, რომ მოხევეებს ბოლშევიკებისათვის გზა გადაუჭრიათ დარიალის ხეობისკენ სოფ. გველეთთან და ბრძოლა გაჩაღებულა; ჩვენ გავეშურეთ მისაშველებლად. გზა და გზა ჰყრია დახოცილ დაჭრილი მეამბოხენი. გველეთთან შევერთდით ყველანი ბოლშევიკებს დარჩათ აუარებელი სამხედრო მასალა და ტყვეები. იმ ღამეს მე მერგო წილად დარაჯობა დარიალის ხეობასთან რამოდენიმე ამხანაგებით. სროლაც აგვიტყდა მოწინაამღდეგების მზვერავებთან, მაგრამ ისინი გაგვექცნენ. მეორე დღეს ჩვენი რაზმი სხვებთან ერთად ბრძოლით მიდიოდა ლარსისკენ და ყველგან გამარჯვებული ვბრუნდებოდით. მეამბოხენი სასტიკად დამარცხდნენ და საბოლოოდ გაიწმინდა საქართველოს სამხედრო გზა.

ვერ წარმოიდგენ, ამხანაგო შოთა, ჩემს განცვიფრებას როცა დატყვევებულთა შორის აღმოჩნდა მრავალი მეგრელი, ზუგდიდისა და სენაკის მაზრიდან. ხობის რაიონიდან არ იყვნენ თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამოდენიმეს სოფ. ზანიდან და საჩიჯავოდან, რომელთაც ბობოთან არ ჰქონიათ არც წინად დამოკიდებულება. როდესაც დავეკითხე ტყვე მეგრელებს, რა გინდოდათ აქეთკენ და რა გქონდათ მიზნად მეთქი. მიპასუხეს: „ათასნაირ დაპირებით მოგვატყუეს ჩვენ სულაც არ ვიცოდით, რომ ასე მოეწყობოდა ჩვენი საქმე გვითხრეს კავკავიდან სიმინდის გამოსატანად გზა უნდა გავხსნათო". არც ერთს არ ესმის რა არის ბოლშევიკი, ან მენშევიკი. დამფუძნებელ კრებისთვის დეპუტატების არჩევის დროს ყველას № 1 მიუცია.

ტყვეებში ნაცნობი არ ერია. ეტყობოდათ სიბნელით იყვნენ მოცულნი და მათი მოღვაწეობა სოფლად ძალიან საეჭვო უნდა ყოფილიყო. სოფლებში სადაც ყოფილან, ყველგან ძარცვავდნენ. ყაზბეგში აუფორიაქებიათ ცნობილი [illegible]ლის გ. ყაზბეგის სახლი არ დაუზოგავთ ძველი ისტორიული ნივთები და წიგნთსაცავი.

ამხანაგო, კიდევ ბევრ რამეზე მოგელაპარაკებოდი, მაგრამ წერილი ისედაც გამიგრძელდა დანარჩენებზე შემდეგ.

პარტიზანი ბეს. ჯორჯიკია.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

**განცხადება** საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოდ რომ სითბოთი მასალისაგან გამოწვეულ პირობების გამო აგვისტოს 10 დან მატარებლების მი-მოსვლა იცვლება შემდეგნაირად.

| | | | საათ. | წ. |
|---|---|---|---|---|
| **ტფილისიდან გავა:** | | | | |
| ფოთისკენ | № 23 | დილის | 7 | 50 |
| " | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| " | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/3ღ | დღის | 1 | — |
| **ტფილისში მოვა:** | | | | |
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| " | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| " | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 4ღ/3 | დილის | 11 | — |

ტფილისის დროით.

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9-12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის მესახვევი სასტუმრო „ნოვე" პირდაპირ № 8. 450.

ქუთაისში

**ექიმი გ. ქორქაშვილი** დაბრუნდა და განაახლა თვალის ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს., საღამოთი 5—6 ს. ძველი ტფილისის და [illegible] ქუჩების კუთხე. 851

**ქუთაისში** მიხეილის ქუჩაზე წითელ ხიდთან. ქირურგიული და ქალთა სნეულებების ავადმყოფთა სამშობიარო განყოფილებით. [illegible] 848

**ექიმი ი. ქ. აბაქელია** შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვების, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ელექ[illegible] სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4\frac{1}{2}$—6 საათამდე. [illegible]რე დიდის ქუჩა № 26. 12

**ექიმი დ. შარაშანიძე** იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქ. № 7. 21

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible]რლანოვის ქ. № 6.

**ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი** განაახლა ავადმყოფთა მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 121

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე** იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, [illegible]ბით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. [illegible] ქტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოს[illegible]ვის ქ. № 11. 426

**ექიმი ქ. ტუშმალაშვილი** ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სახქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914) შეშხაპუნება). საღამოობით $5\frac{1}{2}$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 20

**ექიმი დ. ვ. ჩავახიშვილი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა, საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქ. № 41. ტელეფ. 14—09. 1082

**ექიმი პავლე არდაზიანი** დაბრუნდა იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 100

**ექიმი ზ. ა. მიქელაძე** მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

**კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით.** ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 747

**ექიმი ი. დ. ჯაფარიძე** შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილის 11—1 ს საღამოს 5—7 ს მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17 49. 1158

**ექიმი ე. ლ. შალამბერიძე** იღებს ბებიო და საშვილოსნოს სნეულებით ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი როგრადის ქ. № 7. 1027

**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა ნ. ლ. ტურიაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხ. აფთიაქის გვერდით.

**თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინასა** რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 ([illegible]ლოს კინო-თეატრის მახლობლად). და საოპერაციო ავადმყოფები სრული [illegible] სიიაფითაც მიიღებიან.

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალების საშარდისა.
ბ. გ. აგახაროვი: $9\frac{1}{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11\frac{1}{2}$ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ხ. გ. ავეტისიანი—9—11 საკ[illegible] ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი 1—2 [illegible]ნაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური [illegible]მყოფობანი და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი.